ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 226

"27" ივნისი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, პუშკინის ქუჩა №9-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.18.03.018.058) 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ჯეოთურ კაფეტერია ენდ ფუდ კომპანისათვის" (ს/კ 405130255) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, `ქ. თბილისში, პუშკინის ქუჩა №9-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.18.03.018.058) 37 კვ.მ მიწის ნაკვეთის შპს „ჯეოთურ კაფეტერია ენდ ფუდ კომპანისათვის" (ს/კ 405130255) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 14 ივნისის №21.21.426 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, პუშკინის ქუჩა №9-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.18.03.018.058) 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „ჯეოთურ კაფეტერია ენდ ფუდ კომპანისათვის" (ს/კ 405130255) გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 6 500 (ექვსი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი